გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 10

2025 წლის 13 იანვარი
ქალაქი გორი

ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,გორის მაცნეს" (ს/ნ 417873849) 2024 წელს შესრულებული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,გორის მაცნეს" (ს/ნ 417873849) 2024 წელს შესრულებული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,გორის მაცნეს" (ს/ნ 417873849) 2024 წელს შესრულებული საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (2 ფურცელი თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

ა(ა)იპ გორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი „გორის მაცნე“

გორის მაცნე

N(p)lb Gori Municipality
newspaper
“Goris matsne”

გორი, 1400, სტალინის ქ. №16, ტელ: 0370 273483

#48 24 დეკემბერი 2024 წ.

გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით რაზმაძეს

თქვენი 2024 წლის 16 დეკემბრის #**21-21243517** წერილის პასუხად წარმოგიდგენთ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთ ,,გორის მაცნეს“ 2024 წელს შესრულებული საქმიანობის ანგარიშს.

2024 წლის 1-ელი იანვრიდან დღემდე, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი „გორის მაცნე“ ფუნქციონირებდა შეუფერხებლად. ბეჭდვური გამოცემა (ყოველკვირეული გაზეთი „გორის მაცნე“) და გორის მაცნეს ელექტრონული ვერსია (საინფორმაციო პორტალი gmnews.ge), უწყვეტ რეჟიმში აწვდიდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ყველა საკითხზე ობიექტურ და ამომწურავ ინფორმაციას, როგორც საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, ასევე რეგიონში და გორის მუნიციპალიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ, სოციალურ თუ კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხებზე.

წარმოგიდგენთ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთ ,,გორის მაცნეს“ 2024 წლის ფინანსურ ანგარიშს

2024 წელს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით, ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთ „გორის მაცნეს“ პროგრამების შესარულების მიზნით, გამოყოფილია 107000 ლარი, რაც კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:

1. შრომის ანაზღაურება (8 საშტატო ერთეულზე) – 95635 ლარი.
2. საქონელი და მომსახურება - 11365 ლარი, რაც, თავის მხრივ, მოიცავს:
   - შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 1527 ლარი
   - ოფისის ხარჯები - 9681 ლარი
   - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 157 ლარი

2024 წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით მიღებული თანხა გაიხარჯა შემდეგნაირად:

1. შრომის ანაზღაურების მუხლიდან ხელფასის სახით გაცემული იყო 89419 ლარი, პრემიის სახით 6214,40 ლარი
2. საქონელი და მომსახურების მუხლიდან გაიხარჯა - 11362,77 ლარი
   - შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 1527 ლარი

- ოფისის ხარჯებმა შეადგინა - 9678,77 ლარი

მ.შ.

- საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა - 371 ლარი

- ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები - 6480 ლარი

- კავშირგაბმულობის ხარჯი - 1988 ლარი

- კომუნალური ხარჯი - 839,77 ლარი

- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 157 ლარი

საკასო ხარჯმა 2024 წლის განმავლობაში შეადგინა 106996,17 ლარი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის
გაზეთი გორის მაცნეს
დირექტორი ი.თინიკაშვილი